41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ჩხოროწყუელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ჩხოროწყუს მერობის კანდიდატისა და ჩხოროწყუს საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ჩხოროწყუს განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ჩხოროწყუ და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წლის მონაცემებით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 6,9 მილიონ ლარი იყო, 2021 წლის გეგმის მიხედვით, 11,8 მლნ ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 3,8 მილიონი ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 7,8 მლნ ლარს შეადგენს.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 1 პროექტი** (ინვესტიცია 941 090 ლარი, თანამონაწილეობა 376 436 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 140 ჰექტარზე განხორციელდა 45 პროექტი (ჯამურად 2 182 873 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 269 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 1 387 062 ლარი), რითაც 466-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებზე სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 43 726 ლარი გაიცა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისათვის მოქმედებს 6 კოოპერატივი (51 მეპაიე, კაპიტალი 76 800 ლარი). პროგრამით **„ქართული ჩაი“,** 2016-2021 წლებში, რეაბილიტირებულია 85 ჰექტარი (ჯამურად 213 220 ლარი). პროგრამით **შეღავათიანი აგროკრედიტი**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 11 742 532 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 1 589 693 ლარი), რითაც 259-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** 5 პროექტი ჯამურად 137 820 ლარით დაფინანსდა (თანადაფინანსება 53 760 ლარი). 2020 წლიდან მიმდინარეობს **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა,** რომლითაც 3 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 178 849 ლარი, თანადაფინანსება 139 179 ლარი). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, **ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში,** ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 3 732 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 11 070 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“ სასტუმროს კომპონენტში,** ჩხოროწყუში დაფინანსდა 2 სასტუმროს მშენებლობა (ჯამურად 16 233 417 ლარი, დასაქმებულია 60 ადამიანი, მუნიციპალიტეტს სასტუმროს 56 ახალი ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 479 025 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 624 522 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 66 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 43, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად – 23 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2014-2021 წლებში, **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში,** აშენდა 9 ჰიდროელექტროსადგური (მაქსანია ჰესი, მესტიაჭალა 1 ჰესი, მესტიაჭალა 2 ჰესი, იფარი ჰესი, ხელრა ჰესი, ლახამი 1 ჰესი, ლახამი 2 ჰესი, კასლეთი ჰესი 2, ხელრა ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 72 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება 296 მილიონი კვტ/ სთ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 6 ჰიდროელექტროსადგური:

- ხობი ჰესი 2 – დადგმ. სიმძლავრე 46,70 მგვტ, 63 მლნ აშშ დოლარი;
- ნაკრა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 7,50 მგვტ, 9 მლნ აშშ დოლარი;
- ნენსკრა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 280 მგვტ, 1 მლრდ აშშ დოლარი;
- ჯაღონ-ნამუში ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,4 მლნ აშშ დოლარი;
- ნაცეშარი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,93 მგვტ, 2,6 მლნ აშშ დოლარი;
- დარჩი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 16,9 მგვტ, 19,8 მლნ აშშ დოლარი;

რეგიონის ტერიტორიაზე ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები:

- ვედი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 24 მგვტ, 19,1 მლნ აშშ დოლარი;
- წირმინდი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 15,6 მგვტ, 13,4 მლნ აშშ დოლარი;
- ლაპლაჭალა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 12 მგვტ, ინვესტიცია 11,9 მლნ აშშ დოლარი;
- ლუხრა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 3,5 მგვტ, 14 790 000 აშშ დოლარი;
- ხუბერი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,24 მლნ აშშ დოლარი;
- ჭანი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0,5 მგვტ, 0,696 მლნ აშშ დოლარი;
- დიზი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 210 მგვტ, ინვესტიცია 388 მლნ აშშ დოლარი;
- ხუდონი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 702 მგვტ, 776 მლნ აშშ დოლარი.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია 1 609 აბონენტი.** მუნიციპალიტეტის ტერიტო-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

რიაზე უკვე მიმდინარეობს ან 2022-2023 წლებში იგეგმება 23 სოფლის (კირცხი, სარაქონი, ნაგვაზაო, ლეწურწუმე, ლესიჭინე, II ლესიჭინე, ახუთი, მონგირი, ლეჯიქე, ოჩხომური, ქვ.ჩხოროწყუ, ჯუმითი, მოდინახე, ხაბუბე, პირველი ჭოლა, II ჭოლა, ლექობალე, მუხური, ზუმი, ნაფიჩხოვო, ლედარსალე, ხანწკი, თაია) გაზიფიცირება, რითაც ბუნებრივი აირით დამატებით 104 442 აბონენტი ისარგებლებს. 2013-2017 წლებში, 2 300 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განსავითარებლად, 2014 წელს ჩხოროწყუში განხორციელდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. გაიხსნა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი; ლუგელის ხეობაში შურუბუმუს მღვიმეს მიმდებარედ მოეწყო მოსასვენებელი კოტეჯები და გაკეთდა სამეხმავლო ბილიკები; სოფელ თაიაში განხორციელდა ოცინდალეს მთაზე მდებარე წმიდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; სოფ. მუხურში დაფუძნდა და რეაბილიტირდა პოეტ ლაშა გახარიას სახლ-მუზეუმი.

- მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;
- 2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს; სახელმწიფოს მხრიდან მომავალ წლებში გაგრძელდება ცნობიერების ამაღლების ტრენინგები და სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებები.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2013-2020 წლებში, ჩხოროწყუს მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 7,8 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 3584,2 კუბური მეტრი ხე-ტყე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება.** 2016 წლიდან მიმდინარეობს **კოლხური ბზის გადარჩენის პროგრამა,** დაზიანებული ბზის კორომების ბიოლოგიური საშუალებით დამუშავება და მავნებელთან ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებები. 2018 წელს წამლობა ბიოლოგიური ინსექტიციდის გამოყენებით 75 ჰექტარზე განხორციელდა.

გარემოს ეროვნული სააგენტო უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზსა და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი ყოველწლიურად ატარებს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ. გაგრძელდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება და ეფექტიანობის ამაღლება, მათ შორის, დაგეგმილია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა დარღვევათა პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით (ე.წ. „ცხელი წერტილების“ კონტროლი სამეთვალყურეო კამერებით, ახალი თაობის დრონების გამოყენებით და სხვა);**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ჩხოროწყუში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 18 მლნ ლარამდე დაიხარჯა, აშენდა 9 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 10,1 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 19 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 3 821 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2021-2022 წლებისთვის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფელ ახუთში გზის ასფალტო/ბეტონის საფარის დაგება – 2 909 088 ლ;
- სოფელ ხაბუმეში, ეწერის უანში, გზის რეაბილიტაცია – 1 680 039 ლ;
- სოფელ კირცხში (ლეტეშის უბანი) გზის რეაბილიტაცია – 1 305 555 ლ;
- სოფელ ლეწურწუმეში, ჯუმითის უბანში, გზის ასფალტო/ბეტონის საფარის დაგება – 867 596 ლ;
- ქ. ჩხოროწყუში 11 ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 1 548 522 ლ;
- სოფელ მუხურის (ლეთოლორდესა და ლეჩიქვანეს უბანი) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 636 866 ლ;
- სოფელ მუხურის (ლეთოლორდესა და ლეჩიქვანეს უბანი) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 1 285 000 ლ;
- სოფ. ნაფიჩხოვოში (ხანწკის უბანი) გზის ასფალტო/ბეტონის საფარის დაგება – 821 601 ლ;
- სოფელ ქვედაჩხოროწყუში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 487 777 ლ;
- ქ. ჩხოროწყუს დიხამინჯიას ქუჩასა და ცქვიტიშვილების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 777 777 ლ;
- სოფ. ლეწურწუმეში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 372 820 ლ.



ᲓᲐᲗᲝ ᲒᲝᲒᲣᲐ: „ᲩᲔᲛᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲛᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲙᲔᲗᲔᲑᲘᲐ, ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠ, ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲓᲐᲕᲘᲮᲐᲠᲯᲝ“

ᲓᲐᲗᲝ ᲒᲝᲒᲣᲐᲡ ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲪ. ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲮᲡᲝᲕᲗ, ᲠᲐᲪ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲛᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲐᲮᲡᲝᲕᲗ ᲘᲡᲘᲪ, ᲓᲐᲑᲐ ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲐᲒᲠᲝᲕᲐ, ᲐᲮᲡᲝᲕᲗ, ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ �პᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘᲪ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ. ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲕᲔᲑᲐᲡ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲖᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲐᲘᲜᲗᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲥᲣᲠᲐ.

ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲝᲣᲬᲣᲠᲘᲐ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ, ᲐᲠᲪ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ ᲓᲐ ᲒᲕᲘᲛᲮᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲪ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡᲐᲐ – ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲝᲡ, ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲝᲡ, ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲝᲡ.

დაიბადა 1977 წლის 26 აპრილს, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფიჩხოვოში. დაამთავრა თბილისის №82 საჯარო სკოლა და ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, იურიდიულ ფაკულტეტზე.

1998 წელს მუშაობა დაიწყო სატრანსპორტო პოლიციაში; 2003 წელს – თბილისის საკრებულოს იურიდიულ კომისიაში ექსპერტ-კონსულტანტად.

2006-2008 წლებში მუშაობდა 31-ე საავიაციო ქარხნის ლოგისტიკის დეპარტამენტში შესყიდვების მენეჯერად; 2012-2014 წლებში იყო ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი; 2014-2017 წლებში – ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2017 წლიდან დღემდე არის არჩეული მერი.

– ბატონო დათო, რა შეიცვალა ჩხოროწყუში თქვენი მერობის პერიოდში და რა მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელეთ?

– ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ჩხოროწყუში ბევრი რამ შეიცვალა სასიკეთოდ. 2013 წლის დასაწყისში, ადგილობრივი ბიუჯეტი ძალიან მწირი იყო. დღეს ჩხოროწყუს ბიუჯეტი სამჯერ მეტია. ამ თანხით, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. იქნებოდა ეს სახიდე ნაგებობების მშენებლობა, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, საბავშვო ბაღებისა და სკოლების რეაბილიტაცია და მშენებლობა... მსგავსი პროექტებისთვის, ჯამში, უხეშად რომ ვთქვათ, 50 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. ყველაზე დიდი პროექტი კი, რის შემდეგაც ჩხოროწყუელები შვებას იგრძნობენ, გაზიფიცირებაა. ამ მიზნით, 27 მილიონ ლარამდე დაიხარჯება. სამუშაოები გასულ წელს დაიწყო. ქალაქის მოსახლეობას ბუნებრივი აირი უკვე მიეწოდება, 8 ადმინისტრაციულ ერთეულში ძირითადი – მაგისტრალის შეყვანისა და დაქსელვის სამუშაოები მიმდინარეობს. 2023 წლისთვის, უკვე სოფლების მოსახლეობასაც ექნება 24-საათიანი გაზმომარაგება. მცირე ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა ჩვენი გუნდის პრიორიტეტია. დღეს ჩხოროწყუში გაცილებით მეტი ადამიანია დასაქმებული, ვიდრე წლების წინ იყო. გახსნილია საწარმოები, მაგალითად თხილის, დაფნის გადამამუშავებელი. კარდინალურად უკეთესობისკენ შევცვალეთ მდგომარეობა მუნიციპალიტეტში.

– ანუ, წინა არჩევნებზე რომ ამბობდით, აღმშენებლობის პროცესს დავიწყებთო, თამამად შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს დაპირება შეასრულეთ?

– ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ასეა. ჩხოროწყუში მიმდინარეობს „ხობი 2“ ჰესის მშენებლობა. ეს უნიკალური პროექტია, რომელიც, დამტკიცებულია, რომ გარემოზე მავნე ზემოქმედებას არ მოახდენს და საფრთხეს არ შეუქმნის არც ლანდშაფტს, არც ხე-მცენარეებს. ეს არის ჩვენი, ქართული ინვესტიცია. „ხობი 2“ ექსპლოატაციაში 2023 წელს შევა და ამ პროექტიდან, მხოლოდ ქონების გადასახადის სახით, ადგილობრივ ბიუჯეტში, ყოველწლიურად 2 მილიონ ლარამდე შევა. რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტისთვის ეს დამოუკიდებელი, დამატებითი სახსრები, უმნიშვნელოვანესია. ამ თანხით, მერია, მოსახლეობასთან შეთანხმებით, პრიორიტეტებს განსაზღვრავს და მნიშვნელოვან პროექტებს განახორციელებს.

– პრიორიტეტები, ალბათ გარკვეულწილად, უკვე განსაზღვრულია. რა გამოწვევების წინაშე დგანან დღეს ჩხოროწყუელები და რა გეგმები გაქვთ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?

– ჩვენი პრიორიტეტი ჩხოროწყუს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფაა. ეს განსაკუთრებული გამოწვევაა შემდეგი სოფლებისთვის: ლესიჭინე, კირცხი, ქვედა ჩხოროწყუ, ხაბუმე, ჭოღა, ზუმი, ახუთი. 2022 წლიდან ჩვენ დავიწყებთ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას წყლის სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობასთან დაკავშირებით. 2022-2025 წლის გეგმაში ასევე გვაქვს გათვალისწინებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა სხვადასხვა სოფელში და ქალაქის უბნებში. ასევე გვაქვს გეგმა, რომ წავახალისოთ მოსახლეობა, ბიუჯეტიდან გამოვყოთ თანხები და პროგრამის „მართე შენი მუნიციპალიტეტი“ ფარგლებში, ადგილობრივებს მეტად აქტიურობის საშუალება მივცეთ. გვინდა, თავად გადაწყვიტონ, თავიანთ სოფელში, კონკრეტულად რა პროექტის განხორციელებაა მნიშვნელოვანი. ჩემთვის ასევე სასიხარულოა, რომ ჩხოროწყუში განხორციელდება უმნიშვნელოვანესი პროექტი – პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, უკვე გამოყოფილია თანხა, რომელიც მოხმარდება ქალაქ ჩხოროწყუს ცენტრში მდებარე კულტურის სახლის რეაბილიტაციას. ამ პროექტის ღირებულება 5,5 მილიონი ლარია. ეს უდაოდ დიდი პროექტია იმ ფონზე, რომ ჩვენთან ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, სერტიფიცირებული ანსამბლი „ჩხოროწყუ“, ასევე ანსამბლები „კავკასიონი“ და „ჯეოგენი“, ბავშვთა ბენდი, ქორეოგრაფიული ანსამბლები, სხვადასხვა წრეები. ამ მიმართულებით დასაქმებული ადამიანების რაოდენობა რამდენიმე ასეულია, ბავშვების რაოდენობა კი ათასს ცდება. ახალგაზრდებთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. ჩვენი მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტისა და კულტურის პოპულარიზაცია, ფესტივალების, კულტურული აქტივობებისა და სპორტული ღონისძიებების განხორციელება და ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა.

– პრიორიტეტია ტურიზმის ხელშწყობაც. რა ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით ხელისუფლება?

– რა თქმა უნდა, ტურიზმის განვითარება ჩვენთვის პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტს ამ კუთხით აქვს დიდი პოტენციალი, რომელიც საჭიროებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. ტობავარჩხილისკენ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება უკვე სრულდება. გვაქვს მოლაპარაკებები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, რომ მუხურსა და მის მიმდებარე ტერიტორიას მიენიჭოს პარკის სტატუსი. აქ არაერთი კულტურული ძეგლია, ლუგელას ხეობაში ულამაზესი მღვიმე, ჩანჩქერები, გადმოსახედებია და არის კალცით გაჯერებული, უნიკალური, ლუგელას წყალი, რომელიც სამკურნალო თვისებებით მსოფლიოში ცნობილია.

– მუნიციპალიტეტს ვიზიტორები პანდემიის პირობებშიც თუ ჰყავს და ზოგადად, რამდენად ეფექტური იყო პანდემიის მართვა ჩხოროწყუში?

– ცხადია, ტურიზმს, როგორც მთელ

მსოფლიოში, ჩვენთანაც შეუშალა ხელი პანდემიამ, თუმცა შიდატურიზმის განვითარების თვალსაზრისით, წინსვლაა. სამომავლოდ, შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით, ჩვენი უნიკალური ჩხოროწყუს პოპულარიზაციით, ტურისტების დიდი ნაკადი უნდა მოვიზიდოთ. რაც შეეხება პანდემიის მართვას, პროცესში ჩართულები ვიყავით და, ვფიქრობ, ეფექტურად. ჩვენთან შესაბამისი კომისია არსებობს, რომელსაც ჩემი მოადგილე ხელმძღვანელობს. მადლობელი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც ამ პროცესის ეფექტურ მართვაში წვლილი შეიტანა. განსაკუთრებულ მადლობას კი, ჩვენი ჯანდაცვის წარმომადგენლებს ვუხდი. დღეს, უმნიშვნელოვანესია, მოსახლეობას მაქსიმალურად მივაწოდოთ ინფორმაცია და მოვუწოდოთ, მოიხადონ მოქალაქეობრივი ვალი – დაიცვან რეგულაციები, აიცრან და ახლობლებსაც აუხსნან, რომ ამ უხილავი მტრის დამარცხება, მხოლოდ კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთებითაა შესაძლებელი.

– ბატონო დათო, თქვენი დედულეთი აფხაზეთია. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მეგობრები დღემდე გყავთ და კმაყოფილები არიან იმ სამედიცინო თუ სხვა პროგრამებით, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება სთავაზობს?

– დიახ, მეგობრებიც მყავს და ნათესავებიც, აფხაზეთი დედაჩემის დედულეთია. ისინი ხშირად ამბობენ, რომ ქართველებთან მეგობრობა უნდათ. ურთიერთობების დარეგულირებას კი დრო სჭირდება. მთავარია, თაობები ერთმანეთის მტრად კი არ აღვზარდოთ, ვასწავლოთ, რომ ძმები ვართ. დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, სწორი პოლიტიკის შედეგად, ტერიტორიებს დავიბრუნებთ და ისევ ამაყად ჩავალ იქ, სადაც მამას ხშირად დავყავდით.

– პოლიტიკურ ველზე „ქართული ოცნების“ გამოჩენამდე, „ქრონიკული ოპოზიციონერი“ იყავით. გაამართლა მმართველმა გუნდმა თქვენი იმედები და დღემდე „ქართული ოცნების“ რიგებში იმიტომ რჩებით?

– დიახ, 2011 წლამდე სულ ოპოზიციაში ვიყავი – ლეიბორისტული პარტიის წევრი გახლდით. როცა პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა და თქვა, დუმილის დრო არ არისო, ეს იყო მესიჯი, რომ ერი და ბერი მის გვერდით უნდა დავმდგარიყავით. ასეც მოვიქეცი. პირდაპირ შევედი შალვა ნათელაშვილთან და განცხადება დავწერე – ხელისუფლების შესაცვლელად ნამდვილი ბრძოლა მინდოდა და არა მხოლოდ ხმაურიანი გამოსვლები. ძალიან მწყდება გული, რომ პარტიამ, რომელშიც 12 წელი უანგაროდ ვიყავი, ასეთი გზა აირჩია, თუმცა არც ადამიანურად და არც პოლიტიკურად იმ 12 წელს არ ვნანობ – ბევრი კარგი მეგობარი შევიძინე, ზოგთან ნათელმირონიც მაკავშირებს და თანაც ოპოზიციაში ვიყავით. თუმცა, როგორც გაირკვა, უფრო შეუპოვარი ბრძოლა იყო საჭირო. ისეთი, როგორიც „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო და ამიტომაც გავხდი ამ გუნდის წევრი. მეამაყება, რომ ხალხთან ერთად შევძელით დიქტატურული რეჟიმის შეცვლა. 2012 წელს, ჩემი სურვილით წავედი სამეგრელოში და „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის გვერდით ვიდექი. ყველაზე თვალშისაცემი მაშინ ჩვენ რეგიონში შიში იყო. სხვათაშორის, „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის გამო ჩემს ოჯახზე ზეწოლაც განხორციელდა. ჩემს ძმას, რომელსაც ახალშექმნილი ოჯახი ჰქონდა, განცხადება დააწერინეს და სამსახურიდან დაითხოვეს. პირდაპირ უთხრეს, დავასაქმებთ კიდეც შენს ძმას, ნუ დგას „ოცნების“ გვერდითო. მოკლედ, მოსყიდვა სცადეს, მაგრამ როცა რეჟიმს ებრძვი, ყველაფერზე მაღლა ქვეყნის მომავალს აყენებ. ნათესავებიც მაფრთხილებდნენ, საკუთარ თავსაც და ოჯახსაც საფრთხეში აგდებო, მაგრამ... სხვაგვარად არ შემეძლო. მეტიც, სოფელში, პირდაპირ სახლში გავხსენი „ოცნების“ შტაბი. მახსოვს როგორი განცდა მქონდა 2012 წლის არჩევნების შემდეგ – ეს იყო თავისუფლების საოცარი შეგრძნება. მიხარია, რომ „ოცნებამ“ ყველა ჩემი იმედი გაამართლა და იმიტომაც ვარ დღემდე ამ გუნდის წევრი. პროფესიით იურისტი ვარ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ქვეყანაში ადამიანის უფლებები დაცულია, სიტყვის თავისუფლებაა, პოლიტიკური ნიშნით არავის ავიწროებენ.

– სამაგიეროდ, თქვენ „გავიწროებდნენ“ ოპონენტები, მერიის წინ აქციებს გიმართავენ და რამდენჯერმე თქვენი გადადგომაც მოითხოვეს. პროვოკაციებსა და ბრალდებებზე, ყოველთვის ასე მშვიდად რეაგირებთ?

– ნებისმიერ დროს, ყველაზე დიდ სიმტკიცეს და სულიერ სიმშვიდეს მინარჩუნებს ჩემი საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. ჩემი მიდგომა საქმისადმი არა დილეტანტური, არამედ სიღრმისეულია. მიყვარს ის, რასაც ვაკეთებ – ვემსახურები ჩემს მუნიციპალიტეტს, ჩემ ჩხოროწყუელებს. მზად ვარ, ბოლომდე დავიხარჯო მათთვის. თითოეული ჩხოროწყუელის ოჯახის წევრი ვარ. მათთან თბილი, უშუალო ურთიერთობა მაქვს. სხვადასხვა პროგრამით, პროექტით ვეხმარები მათ და პიროვნულადაც ვუდგავარ გვერდით, რადგან მწამს, რომ სიკეთის კეთებას არაფერი სჯობს და ერთმანეთის მიმართ სიყვარულით უნდა ვიყოთ განსმჭვალული. მხოლოდ ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს შეუძლია მეტი სიკეთის მოტანა ჩვენი ოჯახებისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის.

– როგორ ფიქრობთ, ჩხოროწყუელები ნდობას კიდევ ერთხელ გამოგიცხადებენ?

– ჩემი ხალხის და ჩემი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის იმედი რომ არ მქონოდა, ამ გადაწყვეტილებას არც მივიღებდი. 2014 წელს, გამგებლის არჩევნებზე, ჩხოროწყუელების 66%-მა მომცა ხმა. მერის არჩევნებზე ხმათა 68% ავიღე. დღეს კონკურენცია დიდია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩხოროწყუელებთან ერთად, ისევ გავიმარჯვებთ. ხალხი ყველაფერს ხედავს და აანალიზებს. დარწმუნებული ვარ, მათთან ერთად გავაგრძელებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებას. ვფიქრობ, „ქართულ ოცნებას“ თავისი რესურსი არ აქვს ამოწურული. „ქართულ ოცნებას“ უდიდესი პოტენციალი აქვს. ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი ჯერ არც მე გამიკეთებია. ამიტომ გადავწყვიტე მერობა. ვფიქრობ, ხალხს აქვს ჩემი იმედი, იცის, რომ იმედს არ გავუცრუებ, მხარს დამიჭერს და ჩემი ჩხოროწყუსთვის, გუნდთან ერთად, კიდევ ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებ!

„უზომოდ გვიყვარს ერთმანეთი და დარწმუნებული ვარ, ცხოვრების ბოლომდე ასე იქნება“

რამდენიმე წლის წინ ამბობდა, ოჯახის შექმნა „აქილევსის ქუსლად“ მექცაო. ასე იყო მანამ, სანამ პროფესიით გერმანისტი თეა დარსალია ჩხოროწყუში მასწავლებლების დასატრენინგებლად არ ჩავიდა. ერთმანეთი სწორედ აქ გაიცნეს – კანდიდატის საყვარელ მუნიციპალიტეტში.

„შემდეგ იყო ჯადოსნური მოგზაურობა ტობავარჩხილის მარშრუტზე და ურთიერთობა, რომელიც მალე გრძნობაში გადაიზარდა. რამდენიმე წელია ერთად ვართ. უზომოდ გვიყვარს ერთმანეთი და დარწმუნებული ვარ, ცხოვრების ბოლომდე ასე იქნება“, – გვიამბოს ბატონი დავითი.

ქალბატონი თეა კერძო სკოლის დირექტორია. ჰქონდა სურვილი ჩხოროწყუში გადასულიყო საცხოვრებლად, მაგრამ მეუღლემ ურჩია სამსახურისთვის თავი არ დაენებებინა. საბოლოოდ შეთანხმდნენ, ცოტა ხნით „მსხვერპლი გაეღოთ“ – ქალბატონი თეა თბილისში ცხოვრობს, ბატონი დავითი – ჩხოროწყუში. გადატვირთული და დამღლელი სამუშაო კვირის ბოლოს კი, გული ერთმანეთისკენ მიუწევთ.

2 ოქტომბერს არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, „ცოტა ხანი“ კიდევ 4 წლით გახანგრძლივდება. მიუხედავად ამისა საარჩევნო მარათონში კიევ ერთხელ ჩართვა ქალბატონ თეას არ უსაყვედურია. პირიქით, ჩხოროწყუზე უზომოდ შეყვარებულ მეუღლეს მხარდაჭერა გამოუცხადა.

ქალბატონი თეას მეგობრებთან ხშირად სტუმრობა ოჯახურ ტრადიციად უკვე ჩამოუყალიბდათ. ამბობს, რომ მეუღლეს არაჩვეულებრივი გარემოცვა ჰყავს. მეგობრების აზრით, მათგან კარგი წყვილი შედგა. ხასიათით ერთმანეთს დიდად არ გვანან, მაგრამ აქვთ რამდენიმე საერთო შტრიხი – ორივე ძალიან თბილი, მეგობრული, პასუხისმგებლიანი, მიზანდასახული და კაცთმოყვარეა.

ზოგადად, თავს ყველაზე კომფორტულად იმ ადამიანების გვერდით გრძნობს, ვინც მის შესახებ იცის ყველაფერი. ვინც იცის, რომ დიდი სიამაყით საუბრობს მშობლებზე, რომლებიც ღირსეული ადამიანები იყვნენ. მეგობრებმა იციან, რომ მათი გარდაცვალება, კანდიდატისთვის დიდი ტრაგედიაა. მამა, თამაზ გოგუა, 1991 წელს უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. მაშინ ბატონი დათო მხოლოდ 13 წლის იყო. მამა განსაკუთრებით უყარდა. იგი შვილებს სიურპრიზებით ანებივრებდა და ოჩამჩირეშიც დაჰყავდა ხშირად. მეგობრებმა ისიც იციან, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ ობოლ ძმებს, დავითსა და დემნას, ბიძა, დედის ძმა ედგა გვერდით. დედა პედაგოგი იყო, ლიცეუმში ასწავლიდა. 8 წლიდან თბილისში ცხოვრობდნენ, რადგან მამა 31-ე საავიაციო ქარხანაში მუშაობდა, მაგრამ მშობლიურ ჩხოროწყუსთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტიათ. ამიტომაც არ გაკვირვებიათ მეგობრებს, როცა დათო გოგუამ ისევ გადაწყვიტა ჩხოროწყუს მერობა. მეგობრებმა ისიც იციან, რომ სანამ ჩხოროწყუში ერთ ადამიანს მაინც სჭირდება მისი დახმარება, სანამ 1 პროექტი მაინც დარჩა ბოლომდე მისაყვანი და სანამ გონებაში ჩხოროწყუსთან დაკავშირებით ერთი გეგმა მაინც უტრიალებს, არ მოისვენებს, ჩხოროწყუს მერობისთვის ისევ იბრძლებს და გაიმარჯვებს.

ამბობს, რომ მისი ჰობი გაჭირვებული ადამიანების გვერდით დგომაა. ხშირად ჩნდება ისეთ ადგილებში, სადაც არ ელიან, რადგან სურს, საკუთარი თვალით ნახოს, რა უჭირთ მათ.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ, ᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ. ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 23 200 156 ლარი, დაფინანსდა 67 429 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (1 429 012,5 ლარით 108 392 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (4 607 414 ლარით 50 322 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (12 099 449 ლარით 9 713 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (3 142 875 ლარით 2 869 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 122 219 ლარით 1812 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 119 211 ლარით 2 151 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.) პროგრამით, **ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 5 173 ბენეფიციარი (3 761 880 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. ჩხოროწყუში იმუნიზაციის მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელია 83.1%. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ჩხოროწყუში,** სტაციონარული მკურნალობით 142-მა (404 848 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1334-მა პაციენტმა (136 493 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 2479 ორსული (127 038 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 617. 2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 713 პირი (150 774 ლ).** 2012 წლის შემდეგ, **ჩხოროწყუს** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ჩხოროწყუში,** 2013-2021 წლებში, სულ 310 შემთხვევა 514 026 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს 30 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

2013 წელთან შედარებით **5,8-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 389,1 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. -67,0 ათასი ლ).

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

ამბულატორია ჩხოროწყუში

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია 5455 პირი (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2,3-ჯერ – 6 574 045-დან 14 837 468 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 93 628 212 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ჩხოროწყუში,** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 60 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3-ჯერ – 102 318-დან 304 973 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 2 135 036 ლარი გაიცა. **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1112 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2,4-ჯერ – 989 ათასიდან 2 344 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 15 511 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 2 803 ათასი, შშმ პირებზე – 1316 ათასი, ბავშვებზე – 5 758 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ჩხოროწყუში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 1145 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,1-ჯერ – 368 087-დან 1 883 925 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 13 156 735 ლარი. **ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში 1611 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 678 504-დან 898 875 ლარამდე გაიზარდა დევნილთა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 7 496 601 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში დაკმაყოფილდა 101 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 46 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 55 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ჩხოროწყუში, დაფინანსებულია 102 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 973 050 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 183 450 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტზე – 1 418 915 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ) –** პროგრამაში, 2020 წელს, მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 626 ოჯახი, 2021 წელს – 695. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით ჩხოროწყუში, 2020 წელს ისარგებლა 167-მა ოჯახმა, 2021 წ. – 194-მა (ივნისის მონაც.). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით), მუნიციპალიტეტში, 2020 წ. ჩაერთო 243 პირი, 2021 წ. – 246 (ივნისის მდგომ.).

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867 ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში – 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, **2,8-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 694,3 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 246,0 ათასი ლ).

2012 წლიდან დღემდე ჩხოროწყუში ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამები, მათ შორის: ერთჯერადი სოციალური დახმარება, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება, შშმ ბავშვთა და მოზარდთა დახმარება, უსახლკაროთა დახმარება, ახალშობილი ბავშვების დახმარება, ყოველდღიური უფასო კვება, მსოფლიო ომისა და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული ომებში მონაწილეთა დახმარება, უსინათლოთა დახმარება, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების პროგრამა და სხვ.

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში: ზუმი (79 009 ლ), თაია (70 754 ლ), ნაფიჩხოვო (74 909 ლ), ნაკიანი საექიმო (87 438 ლ), ჭოღი (85 000 ლ); სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის’ ოფისის მშენებლობა (280 969 ლ).

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲨᲘ ფუნქციონირებს 33 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 2 – ქ. ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲨᲘ, ხოლო 31 – სოფლად.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲨᲘ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება. 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 2 მლნ 544,1 ათასი ლარით განისაზღვრა, მათ შორის, 1 მლნ 300 ათასი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 526,2 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში ეტაპობრივად განხორციელდა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. მათ შორის: ხუთი ახალი საბავშვო ბაღი (ქ. ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ, ქვემო გარახის, ჭოღის, ხაბუმესა და ახუთის) **2014-2016 წლებში** აშენდა, რაზეც 1 მილიონ 332 ათასი ლარი დაიხარჯა, ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპლიტეტის ყველა საბავშვო ბაღს. **2017 წელს –** ახალი საბავშვო ბაღები აშენდა სოფელ კირცხსა (240 ათასი ლარი) და ქვედა ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲨᲘ (222,7 ათასი ლარი). **განხორციელდა:** ლესიჭინეს №1-№5, ნაფიჩხოვოს (ცენტრის), ლელაგვილეს, ხაბუმეს (ცენტრის), ჯუმითის, მეორე მოიდანახის, ჟუხუს, ახუთის №2, მუხურის №1 და №2, სარაქონის, მეორე ჭოღის, ზუმის, ეგიარზეთისა და ნაკიანის საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები. **2014-2018 წლებში** აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა 7 ახალი საბავშვო ბაღი, რომელთა მშენებლობაზეც, საერთო ჯამში, 1 მლნ 760 ათასი ლარი დაიხარჯა. **2019 წელს** 15 საბავშვო ბაღში ჩატარდა ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც, ჯამურად 669,3 ათასი ლარით დაფინანსდა. საერთო ჯამში, **2014-2019 წლებში, რეგონული განვითარების ფონდიდან,** ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტებზე 2 მლნ 209,9 ათასი ლარი დაიხარჯა.

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, აღსაზრდელთა რაოდენობა 650-დან 925-მდე გაიზარდა. 0,67-დან 2 ლარამდე გაიზარდა კვების თანხა თი-

თოეულ აღსაზრდელზე, მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების კვების რაციონი. **სასკოლო მზაობის პროგრამა** მიმდინარეობს 5 საბავშვო ბაღის 5 ჯგუფში, სადაც 124 ბავშვია. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულია 98 აღმზრდელ-პედაგოგი (მათგან, 2 – სასკოლო მზაობის ჯგუფებში) და 59 აღმზრდელი. საბავშვო ბაღებს 21 ექთანი/ექიმი ემსახურება.

ზოგადი განათლება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 19 საჯარო სკოლა, სადაც 2613 მოსწავლე და 526 მასწავლებელია, მათ შორის 20 – სპეცმასწავლებელი. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 54 სსსმ მოსწავლე. 6 საჯარო სკოლაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას 10 მანდატური ემსახურება. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 5 საჯარო სკოლაში. ჩხოროწყუში ინკლუზიური განვითარების სამმართველოს მულტიდისციპლინური გუნდის ერთი წევრი მუშაობს.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგ-პროგრამები, მათ შორის: პროგრამით **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“,** საზაფხულო სკოლებში, 2013– 2019 წლებში, 137 მოსწავლე იყო ჩართული. 2013-2018 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, 39 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე დაფინანსდა, 2017-2019 წლებში, სასკოლო აქტივობების 41 პროექტი დაფინანსდა. 2019-2021 წლებში, **„ახალი სკოლის“ მოდელი** მუნიციპალიტეტის 11 საჯარაროსკოლაში დაინერგა. **ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით, ახალი სკოლის მოდელის** ფარგლებში, 2019 წელს, 2 საჯარო სკოლას 35 კომპიუტერი გადაეცა. **ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით კი** 12 საჯარო სკოლას 90 კომპიუტერი გადაეცათ. 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში,** ჯამში, 1973 მოსწავლე მონაწილეობდა. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების აღჭურვის 13 პროექტი, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 32 პროექტი განხორციელდა, **ლოკალური უსადენო ქსელით** ჩხოროწყუს 2 საჯარო სკოლა აღიჭურვა. 2015-2019 წლებში, საჯარო სკოლების **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 52 პროექტი განხორციელდა. 2021 წლისთვის „ახალი სკოლის“ მოდელში, ჩართულია 11 საჯარო სკოლა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით 19 საჯარო სკოლის (122 მიმართულება) 1795 მოსწავლე სარგებლობს (2018-2019 ს/წ). 2017-2020 წლებში, ჩხოროწყუს სკოლებს, ჯამში, 933 **სასკოლო ჟურნალი და** 63075 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“,** 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს 1738 კომპიუტერი გადაეცათ, 175 – კლასის დამრიგებლებს, **„წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისების“** პროგრამის ფარგლებში კი, 271 – წარჩინებულ მოსწავლეებს. იმავე პერიოდში ჩხოროწყუში, ჯამში, 199 **ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების** მიზნობრივი პროგრამებით კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 29 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 13 სკოლა, ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია 8 საჯარო სკოლა. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში ჩართულია ერთი – კირცხის თემის №1 საჯარო სკოლა. მათ შორის, **2013 წელს** განხორციელდა 3 სკოლის რეაბილიტაცია (სულ 215 ათასი ლარი); **2014 წელს –** 6 სკოლის (სულ 992,9 ათასი ლარი); **2015 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა 15 სკოლას, რაზეც სულ 1 მილიონ 638,8 ათასი ლარი დაიხარჯა; **2016 წელს** განხორციელდა 2 სკოლის (ჩხოროწყუს №1– №2) რეაბილიტაცია (სულ 12,4 ათასი ლარი). **2017 წელს** განხორციელდა 6 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია; ლესიჭინეს თემის №2 სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა ინფრასტრუქტურული მოწყობა/რეაბილიტაციის სხვა სამუშაოები. **2018 წელს** დაფინანსდა კირცხის თემის №1 საჯარო სკოლის ელენერგიის სიმძლავრის 80 კვტ/სთ-მდე გაზრდა (9,3 ათასი ლარი); **2019 წელს,** MCC-ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა კირცხის თემის №1 საჯარო სკოლას, რაზეც 249,6 ათასი ლარი დაიხარჯა. **განხორციელდა** 4 საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია (82,3 ათასი ლარი); სოფელ ქვედა ჩხოროწყუსა (71,3 ათასი ლარი) და ნაფიჩხოვოს ხანწკის (90,9 ათასი ლარი) საჯარო სკოლების რეაბილიტაცია; **დაფინანსდა** 10 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (40 ათასი ლარი). **2015-2020 წლებში,** ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, 15 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ჯამში, 1 მლნ 400 ლარი დაიხარჯა.

2019 წელს – მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 8 პროექტის განხორციელებაზე, ცენტრალური ბიუჯეტიდან, 264,5 ათასი ლარი დაიხარჯა. სამუშაოები ჩატარდა ქ. ჩხოროწყუს №1, ზუმის თემის, კირცხის თემის (სარაქონის უბანი), ლესიჭინეს №1 და №2, ნაფიჩხოვოს თემის (ლედარსალეს უბანი), ნაფიჩხოვოს თემის (ხანწკი), ქვედაჩხოროწყუს საჯარო სკოლებში.

2019-2020 წლებში ქ. ჩხოროწყუს №1, სოფელ კირცხის №2 (სარაქონი), სოფელ. ზუმისა და სოფ. ლესიჭინეს საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 82,3 ათასი, სოფელ ქვედა ჩხოროწყუს საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე – 71,3 ათასი, სოფელ ნაფიჩხოვოს (ხანწკის უბნის) საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე კი 90,9 ათასი ლარი დაიხარჯა.

სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (ინფრასტრუქტურის სამინისტრო), 2019 წელს – ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 9 პროექტზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 332,9 ათასი ლარი დაიხარჯა. სხვადასხვა სახის სამუშაოები ჩატარდა ზუმის, თაიას, კირცხის (სარაქონის უბანი), ლესიჭინეს №1, ლესიჭინეს №2, ნაფიჩხოვოს (ლედარსალეს უბანი), ნაფიჩხოვოს (ხანწკი), ქვედაჩხოროწყუს და ჩხოროწყუს №1 საჯარო სკოლებში. **2020 წელს –** საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაციის 14 პროექტი განხორციელდა, რაზეც ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამში, 575 ათასი ლარი დაიხარჯა. სველი წერტილები მოწესრიგდა ლესიჭინეს №3, ახუთის №1-№2, ლეწურწუმეს, მუხურის, თაიას, ხაბუმეს თემის №1 (ძირითადი, ჯუმითისა და ჟუღუს კორპუსები), ნაფიჩხოვოს (ძირითადი კორპუსი), კირცხის თემის №2 საჯარო სკოლებში.

2020 წელს დასრულდა: ახუთის თემის №1 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია (12 ათასი ლარი). **2021 წელს დასრულდა –** ხაბუმეს თემის მოდინახეს უბანში, №3 საჯარო სკოლის მშენებლობა, რაზეც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მლნ 175 ათასი ლარი დაიხარჯა.

დაბა ჩხოროწყუს საბავშვო ბაღი

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია და 8 საბავშვო ბაღს ჩაუტარდება რემონტი; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ჩხოროწყუში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები;
- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში შეიქმნება პროფესიული განათლების მიღების და/ან პროფესიული გადამზადების შესაძლებლობა;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების **ხელმისაწვდომობა,** შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების **ხარისხის** განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, Ს�პᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ: ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კულტურის სახლისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გაერთიანება, მთავარი ბიბლიოთეკა (საბავშვო ბიბლიოთეკა), საქალაქო ბიბლიოთეკა, ქვედა ჩხოროწყუს №3, ხაბუმეს №4, მუხურის №5, ზუმის №6, თაიას №7, ნაფიჩხოვოს №8, ჭოღის №9, ნაკიანის №10, ახუთის №11, ლესიჭინეს №12, ოჩხომურის №13 და კირცხის №14 ბიბლიოთეკები, ჩხოროწყუს ისტორიული მუზეუმი.

2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 494 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 275 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში იმართება სახალხო ზეიმი „ცხოროწყუობა“, ეწყობა გამოფენები, იმართება პოეზიისა და თემატური საღამოები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, ტარდება კონფერენციები, ახალი წიგნების პრეზენტაციები, მნიშვნელოვანი თარიღებისადმი (საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 9 აპრილი, დედაენის დღე, ბავშვთა საერთაშორისო დღე, მუზეუმის საერთაშორისო დღე და სხვ.) მიძღვნილი ღონისძიებები და სხვ.

2014 წლის შემდეგ განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის: ახუთის თემში კულტურის სახლის რეაბილიტაცია, ნაფიჩხოვოს თემში კულტურის სახლის, ფასადისა და სცენის რეაბილიტაცია, ახუთის თემში კულტურის სახლის ნაწილობრივი რემონტი და ინვენტარის შეძენა, ქვედა ჩხოროწყუს თემში ბიბლიოთეკის რემონტი, ჭოღის თემის ადმინისტრაციის შენობაში ბიბლიოთეკის რემონტი, თაიაში ბიბლიოთეკისთვის ინვენტარის შეძენა, მუხურში პოეტ ლაშა გახარიას სახლ–მუზეუმის დაფუძნება და გახსნა, ნაფიჩხოვოში კულტურის სახლის რეაბილიტაცია, ჭოღას, ხაბუმეს, მუხურის, ლესიჭინეს, ქვედა ჩხოროწყუს, ლეწურწუმეს, თაიასა და მუხურის ბიბლიოთეკების რებილიტაცია და/ან ინვენტარის შეძენა – პროექტებზე სულ 153,3 ათასი ლარი დაიხარჯა.

2015 წელს განხორციელდა ლაშა გახარიას სახელობის მუზეუმის რეაბილიტაცია სოფელ მუხურში, რასაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 44 ათასი ლარი მოხმარდა.

2017 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა II ჭოღის თემში მდებარე წმ. მთავარანგელოზების სახელობის ტაძარს, რაც 97,9 ათასი ლარიით დაფინანსდა;

2018 წელს, ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ოცინდალეს წმინდა გიორგის სახელობის მონასტერსა და ჭოღის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარს.

2016 წელს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, განხორციელდა ოცინდალეს ეკლესიის ცენტრალური დარბაზის ინტერიერის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები (15 ათასი ლარი).

ᲡᲪᲝᲠᲢᲘ

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისა და კომპლექსური სასპორტო სკოლის გაერთიანება.

2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს, სპორტის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 323 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 215 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტის სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ფეხბურთი, კარატე, კრივი, ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, მძლეოსნობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი და ტაეკვონდო.

2014 წლიდან განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის: ქალაქ ჩხოროწყუში მოეწყო ჩოგბურთის კორტები (45 ათასი ლარი); განხორციელდა ლესიჭინეს სასპორტო კლუბის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (10 ათასი ლარი); ხაბუმის თემში, ცენტრში არსებული სპორტული დარბაზის მოწყობა და ინვენტარების შეძენა (1,5 ათასი ლარი); ქვემო ჩხოროწყუს თემში (საკვირკველიოს უბანი) სტადიონის მოწყობა (4,2 ათასი ლარი); ახუთის თემში (საჯალაღონიოს უბანი) მინისტადიონისა და ფეხბურთის სტადიონის (მე-2 ახუთის უბანი) რეაბილიტაცია (5,2 ათასი ლარი); ახუთის თემში, მონგირისა და ლეჯიქეს უბნებში 2 მინისტადიონის მოწყობა (3,6 ათასი ლარი); ხაბუმის თემში, ჟუჟუს უბანში სტადიონის შეღობვა (4 ათასი ლარი); ქვედა ჩხოროწყუს თემში (საჟვანიოს უბანი), საფეხბურთი მოედნის შეღობვა (6 ათასი ლარი); ჭოღის თემში ფეხბურთის მოედნის (შონიათის უბანი) შემოღობვა და მინიმოედნის (ლეგაბელეს უბანი) ზედაპირის მოწყობა (2,6 ათასი ლარი); კიცხის თემში ფეხბურთის სტანდარტული მოედნის მოწყობა (5 ათასი ლარი); ლესიჭინეს თემში სტადიონის საშხაპის მოწყობა და მინისტადიონის შეღობვა (8 ათასი ლარი); ახუთის თემში არსებული და ახალი (საკაჭარაოს უბანი) მინისტადიონების მოწყობა (6 ათასი ლარი); ხაბუმის თემში მეორე მოდიანახეს სტადიონის შეღობვა (4 ათასი ლარი); მუხურის თემში მინისტადიონის დასრულება (1,5 ათასი ლარი); კირცხის თემში, ნაშელუს უბანში ფეხბურთის მინიმოედნის მოწყობა (5 ათასი ლარი); ზუმში (ნაგიდუს უბანი) მინი მოედნის მოწყობა (7 ათასი ლარი); ჭოღაში (ლეჯვატეს უბანი) ფრენბურთის მოედნის მოწყობა (2 ათასი ლარი); კირცხში (ლეტეში-საიზორიოს უბანში) მინიმოედნის მოწყობა (4,6 ათასი ლარი); ლესიჭინეში, ცენტრალური მოედნის რეაბილიტაცია (9 ათასი ლარი); ლესიჭინეში მინიმოედნების (ყოფილი მეურნეობის ტერიტორია) მოწყობა და მინიმოედნის (სალაშხიოს უბანი) რეაბილიტაცია (4,4 ათასი ლარი); ზუმში მოედნის შეღობვა და სკამების მონტაჟი (9,5 ათასი ლარი); ახუთში (საკაჭარაოს, საკაკულიოსა და ლეჯიქეს უბნები) 3 მინიმოედნის მოწყობის დასრულება (4,3 ათასი ლარი).

2017 წელს – დაბა ჩხოროწყუში მოეწყო მინი სპორტული მოედანი (25 ათასი ლარი), დამონტაჟდა გარე სავარჯიშო მოწყობილობები (24 ათასი ლარი);

2018 წელს – გადაიხურა ჩხოროწყუს სასპორტო გაერთიანების სპორტდარბაზი (40 ათასი ლარი);

2019 წელს – ქ. ჩხოროწყუში გარე სავარჯიშო მოწყობილობების (ტრენაჟორები) მონტაჟზე 28 ათასი ლარი დაიხარჯა.

2013-2016 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 1 შიდაჩემპიონატი (დაიხარჯა 7,7 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობაც დააფინანსა (დაიხარჯა 14,8 ათასი ლარი). 2018 წელს სამინიტრომ მუნიციპალიტეტს 2,3 ათასი ლარის სპორტული ინვენტარი გადასცა.

სამინისტროს მხარდაჭერით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული, აღინიშნა საერთაშორისო დღე **– „სპორტი მშვიდობისა და განვითარებისთვის“.**

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ახალგაზრდული მიმართულებებით სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: მძლეოსნური გარბენი ჩხოროწყუში (197 მონაწილე); მოხალისეობის განვითარების პროგრამა (რეგიონის მასშტაბით 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობა მიიღეს 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

ხელი შეეწყო ახალგაზრდული ინფრასტრუქტურის განვითარებას. 2017 წელს განხორციელდა დასასვენებელი ბანაკის, „ლუგელას“ რეაბილიტაცია, რაზეც 15 ათასი ლარი დაიხარჯა.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ („ფარი 2009“) განახორციელა პროექტი: **„ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით „შურუბუმუს“ კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიზიტორთა თავშესაფრების კეთილმოწყობა და მათი ტურისტული ინვენტარით უზრუნველყოფა“** (დაიხარჯა 24,6 ათასი ლარი). პროექტი მიზნად ისახავდა მუხურის თემში,

სოფელი ხაბუმე

“შურუბუმუს” კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას და პროექტში შშმ და სოციალურად დაუცველი პირების ჩართულობას.

ხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტსა და ახალგაზრდობის სააგენტოს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- 2021-2023 წლებში დაგეგმილია ჩხოროწყუს კულტურის ცენტრის შენობის სრული რეაბილიტაცია. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 5 მლნ 539 ათასი ლარით დაფინანსდება;
- სოფელ მუხურში დაგეგმილია ტურისტულ–კულტურული ცენტრის მშენებლობა (450 ათასი ლარი);
- დაგეგმილია ვალია ბეჭვაიას სახელობის მუზეუმის მშენებლობა სოფელ კირცხში (260 ათასი ლარი), აშენდება ბესარიონ ქებურიას სახელობის მუზეუმი სოფელ ქვედა ჩხოროწყუში (240 ათასი ლარი);
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- დაგეგმილია სპორტის სასახლის მშენებლობა ჩხოროწყუში (4 მლნ 7 ათასი ლარი);
- დაგეგმილია ჩხოროწყუს ფეხბურთის მოედნის რეკონსტრუქცია;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

მართლწესრიგი

დანაშაულის სტატისტიკა

2017-2020 წლებში, ჩხორუწყუს მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულის (იმ **5** სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

ცხ. 1 ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.

მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)	0	0	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	1	0	1	1
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	1
გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)	0	0	0	1
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	1
ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)	0	0	1	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	1	0
ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)	0	0	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
სულ	1	0	2	2
მათ შორის გახსნილი	0	0	1	2

ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

პრობაციონერთა სტატისტიკა	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა	102	110	125	144
არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
დანაშაულის რეციდივის შემთხვევები	4	11	3	4
სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	0	0	0	0

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ ჩხორუწყუს მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წლებში, კრიმინოგენური მდგომარეობა გამორჩეულად მშვიდი და სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 5 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 3, ანუ 60%, რაც გახსნის მაღალი მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში ძალზე იშვიათია, ყოველწლიურად თითო-ოროლა თუ აღირიცხება, ხოლო მათი რაიმე ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

პრობაციონერთა სტატისტიკა

2017-2020 წწ. ჩხორუწყუს მუნიციპალიტეტში პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.

მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა დასტაბილურდა და წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად არ იცვლება. განმეორებით ჩადენილი დანაშაული ხშირი არ არის და წლების მიხედვით პრობაციონერთა 10%-ს არა ღემატება, ხოლო 2020 წელს სულ 4 ასეთი შემთხვევა (პრობაციონერთა 2,8%) აღირიცხა. დანაშაულის რეციდივის დაბალი მაჩვენებელი მოწმობს, რომ მუნიციპალიტეტში სტაბილური კრიმინოგენური ვითარებაა.

სამომავლოდ პრობაციის სააგენტო გეგმავს პრობაციონერების მუნიციპალიტეტში დასაქმების აქტიურ ხელშეწყობას და ასევე, მათთვის სოციალური რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამების ეფექტიანად განხორციელებას.

მუნიციპალისტეტის საზოგადოებრივი ცენტრი

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება. **საზოგადოებრივი ცენტრი,** იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო (მაგ. „ლიბერთი“ ბანკის, მაგთიკომის და სხვ.) მომსახურება, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნით მაღალი პროფესიულ სტანდარტებით მომზადებული პერსონალი ახორციელებს; ამავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას. იგი გახდება ეფექტიანი ინსტრუმენტი თემის თვითორგანიზებისა და მის მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალოდ განხორციელებისათვის.

მუნიციპალიტეტში 2018 წლის 17 სექტემბრიდან ეფექტიანად ფუნქციონირებეს ლესიჭინეს საზოგადოებრივი ცენტრი.

განზრახულია, რომ ეს წარმატებული პროექტი ეტაპობრივად გაფართოვდეს და მთელი მუნიციპალიტეტი მოიცვას. რაც ხარისხობრივად გაზრდის სახელმწიფო თუ მუნიციპალური მომსახურეობის ხარისხსა და მათ ხელმისაწვდომობას ადგილებზე, თვისებრივად ახალ ეტაპზე გაიყვანს ადგილობრივ თვითმმართველობას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ადგილებზე სწრაფი განვითარებისათვის.

ლესიჭინეს საზოგადოებრივი ცენტრი

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა და პატივია, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ვიყო თქვენ მიერ არჩეული მერი.

წლების განმავლობაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არაერთი პროექტი განვახორციელეთ, რაც დადებითად აისახა ჩვენი მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ჩხოროწყუში პრიორიტეტად დავისახეთ, მოსახლეობისთვის უფრო ეფექტური და სარგებლიანი გაგვეხადა სოციალური პროგრამები, გაორმაგდა ბიუჯეტი, უფასო გავხადეთ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები; დაიგო ათეულობით კილომეტრი გზის საფარი, აშენდა 20 დიდი და მცირე ზომის ხიდი, 7 საბავშვო ბაღი, 5 სოფლის ამბულატორია, საზოგადოებრივი ცენტრები, აშენდა და რეაბილიტირდა სკოლები. იგეგმება ახალი სკოლების მშენებლობა, როგორც ქალაქში, ასევე სოფელ ზუმსა და სოფელ ნაფიჩხოვოში. მუნიციპალიტეტში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს გაზიფიკაციის სამუშაოები. დაიწყო ყველასთვის მნიშვნელოვანი, ქალაქის კულტურის სახლის რეაბილიტაცია. თუმცა, მიუხედავად ამისა, მთავარი გამოწვევები წინ გვაქვს. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების გარდა, ჩვენი მთავარი ამოცანაა 24-საათიანი უწყვეტი წყალმომარაგება თითოეული ოჯახისთვის. სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა და განვითარება. ისეთი დარგების აღორძინება, როგორიცაა: მეჩაიეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა, მეთხილეობა და კენკროვანი ხე-მცენარეების: მოცვის, ჟოლოსა და მაყვლის ბაღების გაშენება. პროექტის – „მართე შენი ქალაქი და სოფელი“ ფარგლებში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის თითოეულ მცხოვრებს ექნება შესაძლებლობა, ჩაერთოს ქალაქისა და სოფლის მართვაში. ჩვენი მიზანია ისეთი პროექტების განხორციელება, რომელშიც მაქსიმალურად ჩართულნი და დასაქმებულნი იქნებიან ახალგაზრდები; ასევე, ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია ტურიზმი. მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, ვგეგმავთ ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებას. მრავალწლიანმა გამოცდილებამ ჩხოროწყუსა და ჩხოროწყუელების სამსახურში, ნათლად დამანახა ის საჭიროებები და პრობლემები, რომელთა ნაწილი მოგვარებულია, ხოლო დანარჩენის გადაჭრის გზები – დასახული. მჯერა, ჩხოროწყუს განვითარებისა და უკეთესი მომავლისთვის ჩვენ ისევ ერთად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.